შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2017 წლის 28 ივლისი

დაბა შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №32 დადგენილება (გამოქვეყნებული ვებგვერდზე matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.35.135.016111).

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ ქარცივაძე**

დანართი

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	პოზიციის/თანამდებობის დასახელება	სარგო
1	პოლიტიკური თანამდებობის პირები	გამგებელი	2 650,0
2		გამგებლის პირველი მოადგილე	1 320,0
3		გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობისა და სოციალურ საკითხებში	1 300,0
4		გამგებლის მოადგილე განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხებში	1 300,0
5	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	სამსახური უფროსი	1000
6	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	განყოფილების უფროსი	810
7	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	790
8		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560
9	IV რანგი	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	530